

შპს „ბუერი“

ფინანსური ანგარიშგება 31 დეკემბერი 2019 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	გვ. 2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	გვ. 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	გვ. 4
განამარტებითი შენიშვნები	გვ. 5

შპს „ბუერი“

ბალანსი

აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	219017	243452	142064
ავანსები		-	4442
გაცემული სესხები	435415	435415	435415
სულ გრძელვადიანი აქტივები	654432	678867	581922
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	454518	293485	336970
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	473457	353842	231508
საგადასახადო აქტივი		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	418945	199063	140012
სულ მიმდინარე აქტივები	1346920	846390	708490
სულ აქტივები	2001352	1525257	1290412
<i>კაპიტალი</i>			
გაუნაწილებელი მოგება	968605	637601	319175
სულ კაპიტალი	968605	637601	319175
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სესხები	764420	791529	895900
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	764420	791529	895900
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
მოკლევადიანი სესხები		-	-
საეჭრო და სხვა ვალდებულებები	268327	96127	75337
სულ მიმდინარე ვალდებულებები	268327	96127	75337
სულ ვალდებულებები	1032747	887656	971237
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2001352	1525257	1290412

ლაშა ჯორდანიძე - დირექტორი



შპს „ბუერი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ლარი)

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი	შემოსავალი პლიუსით 2407683 -	შემოსავალი პლიუსით 2283518 -
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	ხარჯი მინუსით -1560292 -	ხარჯი მინუსით -1602916 -
საერთო მოგება/(ზარალი)	847391	680602 -
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-395891	-302000 -
სხვა შემოსავალი		-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	451500	378602 -
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	96588	- 80328 -
ზარალი საკუთროსო სხვაობიდან		-
არასაოპერაციო ხარჯები		-
არასაოპერაციო შემოსავლები		-
მოგება დაბეგვრამდე	354912	298274 -
მოგების გადასახადი		-
წლის წმინდა მოგება		-

ლაშა დოჭუაძე - დირექტორი



შპს „ბუერი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ნგარიშგება
(ლარი)

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	343580	358750
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	-115000
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-123698	-184699
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	219882	59051
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	199063	140012
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	418945	199063



განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბუერი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2016 წლის 26 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ.წუცუბიძის ფერდ., II მ/რ., II კვ., კორ. 12, ბ. 2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შოკოლადისა და ორცხოხილების წარმოება.

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.



ლევან თოფურია - დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.

წარსადგენი და სამუშაო ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით. კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



ლ. შ. თოფურია - დირექტორი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

სავაჭრო ვალდებულებები

წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს.

საბანკო სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

